დადგენილება:**დ-95. 95243623**

თარიღი:**27/12/2024**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2024 წლის 27 დეკემბერი

დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 89-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი №2-ის შესაბამისად.

მუხლი 3.

დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი დანართი №3-ის შესაბამისად.

მუხლი 4.

დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №14 დადგენილება (გამოქვეყნების წყარო: სსმ, ვებგვერდი www.matsne.gov.ge, 29/12/2023, სარეგისტრაციო კოდი:190020020.35.134.016374).

მუხლი 5.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი